06 01 02	ჯანმრთელობის ცვლილებით გამოწვეული საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული პაციენტების სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება	200.00	200.00	220.00	240.00
06 01 03	ფსიქიკურ ავადმყოფთა ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა	45.00	50.00	55.00	60.00
06 01 04	თირკმლის დიალიზზე მყოფი პაციენტების ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა	45.00	50.00	55.00	60.00
06 01 05	იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა და ზოგიერთ სხვა დაავადებით შეპყრობილ პაციენტთა ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა	115.00	115.00	135.40	163.70
06 01 06	აუტიზმის სპექტრის აშლილობის (ასა) მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მხარდაჭერა	14.00	20.00	25.00	30.00
06 01 07	0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური კვლევების დაფინანსება	15.00	20.00	25.00	30.00
	ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის სახელმწიფო				



06 01 08	პროგრამაში მოხაწილე ბენეფიციართა ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა	15.00	15.00	20.00	25.00
06 01 09	საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მშენებლობა და რეაბილიტაცია	2.81	-	-	-
06 01 10	ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამა	140.00	160.00	180.00	200.00
06 01 11	ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პირების სამედიცინო კვლევების დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამა	50.00	50.00	50.00	50.00
06 01 12	მხედველობით მკვეთრად გამოხატული შშმ (უსინათლო)პირთა ფინანსური მხარდაჭერა	25.00	25.00	25.00	25.00
06 01 13	0-18 წლამდე ასაკის, დიაბეტით დაავადებულია ბავშვიანი ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა	15.00	15.00	15.00	15.00
06 02	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	1,062.93	1,132.00	1,227.00	1,312.00
06 02 01	მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარებები	100.00	120.00	130.00	150.00
06 02 02	ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება	40.00	65.00	80.00	90.00
06 02 03	საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ფულადი ან არაფულადი (მატერიალური) დახმარება	49.20	40.00	50.00	60.00
06 02 04	მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვან შვილთა ყოველთვიური ფულადი დახმარება	400.00	420.00	440.00	460.00
06 02 05	შშმ პირთა და მოვლის საჭიროების მქონე ავადმყოფთა ფინანსური მხარდაჭერა	20.00	40.00	50.00	60.00
06 02 06	დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური ფულადი დახმარება	18.00	25.00	35.00	50.00
06 02 07	საომარი მოქმედებების და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა ოჯახების ფულადი დახმარება	-	-	-	-
06 02 08	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხელშეწყობის პროგრამა	5.00	5.00	5.00	5.00
06 02 09	ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური მხარდაჭერა	6.00	6.00	6.00	6.00
06 02 10	სტაციონარული მკურნალობის შემდგომ ბინაზე კომპაქტურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების ოჯახების ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა	-	-	-	-
06 02 11	100 წელს გადაცილებულ მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარება.	10.00	10.00	10.00	10.00
06 02 12	ერთიან ეროვნულ გამოცდებში მაღალი აკადემიური წარმატების მქონე აბიტურიენტთა ფინანსური წახალისება	5.00	10.00	10.00	10.00
06 02 13	სოციალურად დაუცველთა საცხოვრისით უზრუნველყოფა	188.73	170.00	170.00	170.00
06 02 14	წალენჯიხის მუნიციპალიტეტში პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფა	180.00	180.00	200.00	200.00
06 02 15	შშმ ბავშვთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	36.00	36.00	36.00	36.00
06 02 16	უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი, მიუსაფარი, უსახლკაროდ დარჩენილი მარტოხელა შშმ პირებისთვის ქირით უზრუნველყოფის ფულადი დახმარება	5.00	5.00	5.00	5.00
06 03	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა	-	-	-	-



06 04	სარიტუალო მომსახურება	8.00	10.00	10.00	10.00
06 04 01	ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯი	5.00	5.00	5.00	5.00
06 04 02	უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯი	3.00	5.00	5.00	5.00
06 05	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებითი უზრუნველყოფა	432.00	435.00	440.00	450.00
06 06	ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით ფულადი დახმარება	35.80	-	-	-
06 07	ა(ა)იპ „კეთილი სამართელი“-2014 თანადაფინანსება	6.00	6.00	6.00	6.00
06 08	ვეტერანთა საბჭოს ხელშეწყობა	10.56	11.00	11.00	11.00
06 09	ქალისა და მამაკაცის თანასწორობის უზრუნველყოფა	5.00	5.00	5.00	5.00
06 10	მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფა	70.40	70.00	90.00	100.00

ა) ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანმრთელობის დაცვა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01		952.11
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება. არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრება. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის განხორციელებით საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა. არსებულ პირობებთან ადაპტირება, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილება. პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან: • საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება • ჯანმრთელობის ცვლილებით გამოწვეული საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული პაციენტების სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება • ფსიქიკურ ავადმყოფთა ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა • თირკმლის დიალიზზე მყოფი პაციენტების ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა • იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ და ზოგიერთ სხვა დაავადებით შეპყრობილ პაციენტთა ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა • აუტიზმის სპექტრის აშლილობის(ასა) მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მხარდაჭერა. • 0-18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური კვლევების დაფინანსება. • ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა • ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამა. • ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პირების სამედიცინო კვლევების დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამა. • მხედველობის მკვეთრად გამოხატული შშმ (უსინათლო) პირთა ფინანსური მხარდაჭერა. • 0-18 წლამდე ასაკის, დიაბეტით დაავადებული ბავშვიანი ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა. პროგრამის მიზანს წარმოადგენს მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება.		
მოსალოდნელი შედეგი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება.		

ა.ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	დაფინანსება ათას ლარში
-------------------------	------	--------------------------------------	---------------------------



	06 01 01		270.30
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ; საგანმანათლებლო, აღმზრდელობით და საგანმანათლებლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმის დაცვის ზედამხედველობა; საგანმანათლებლო, აღმზრდელობით და საგანმანათლებლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაციას და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტ აღრიცხვას, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწას და გაუმჯობესებას, დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივ შემცირებას მისი კონტროლის გზით; ეპიდ სიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობას და მათ სწრაფ რეაგირებას, პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას; არაგადამდებ დაავადებათა პრევენციას და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებისგან დაცვას მოსახლეობის ინფორმირების გზით. პროგრამის მიზანია დაავადებების დროული გამოვლენა მისი კონტროლის მიზნით. C-ჰეპატიტზე, აივ-შიდსსა და ტუბერკულოზზე ინტერეგრირებული სკრინინგის განხორციელება. ასევე შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება.		
მოსალოდნელი შედეგი	მოსალოდნელი ეპიდ. სიტუაციების მართვისთვის იმუნიზაციის მოცვის მაჩვენებლის გაზრდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად		

ა.ბ) ჯანმრთელობის ცვლილებით გამოწვეული საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული პაციენტების სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება

პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანმრთელობის ცვლილებით გამოწვეული საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული პაციენტების სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 02		200.00
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	1. პროგრამა ითვალისწინებს პაციენტის დაფინანსებაში თანამონაწილეობას და გამოითვლება შემდეგი წესით: ა) თუ საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული თანხა მთლიანი ღირებულების 70% ან 70%-ზე მეტია, დაფინანსდება პაციენტის გადასახდელი თანხის ნახევარი; ბ) ხოლო თუ საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული თანხა 70%-ზე ნაკლებია-დაფინანსდება საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული თანხის 25%; გ) თუ პაციენტის სტაციონარული მომსახურების ერთჯერადი ღირებულების თანხა აღემატება საყოველთაო დაზღვევის წლიურ ლიმიტს, ანაზღაურდება პაციენტის გადასახდელი თანხის 25%. დ) ამ პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში დასაფინანსებელი თანხის ოდენობა განსაზღვრულია არანაკლებ 50 და არაუმეტეს 700 ლარის ოდენობით.		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე პირების ფინანსური დახმარება და მათი პირობების გაუმჯობესება.		

ა.გ) ფსიქიკურ ავადმყოფთა ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ფსიქიკურ ავადმყოფთა ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 03		45.00



ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	1. პროგრამის ბენეფიციარები არიან ფსიქიკური აშლილობებით შეპყრობილი ადამიანები, რომლებიც წარმოადგენენ სსე (სამედიცინო სოციალური ექსპერტიზა) შემოწმების აქტის ამონაწერს სტატუსით – „მკვეთრად გამოხატული“ (პირველი ჯგუფი). (საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მოთხოვნილ იქნეს სპეციალიზირებული სამედიცინო დაწესებულებებიდან ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №100); 2. პროგრამა ითვალისწინებს თითოეულ ბენეფიციარზე ყოველთვიურად, უნაღდო ანგარიშწორებით, 100 ლარის ჩარიცხვას (აუცილებლობის შემთხვევაში დახმარება შეიძლება ჩაერიცხოს ბენეფიციარის კანონიერ წარმომადგენელს ან მხარდამჭერს).		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.		

ა.დ) თირკმლის დიალიზზე მყოფი პაციენტების ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამის დასახელება	კოდი	თირკმლის დიალიზზე მყოფი პაციენტების ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 04		45.00
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	1. პროგრამის ბენეფიციარები არიან პაციენტები, რომლებიც ჩართულნი არიან თირკმლის დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში და აღნიშნული მომსახურების მისაღებად სისტემატურად უწყვეტ შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებისთვის მიმართავენ. 2. პროგრამა ითვალისწინებს თითოეულ ბენეფიციარზე ყოველთვიურად უნაღდო ანგარიშსწორებით პირად ანგარიშზე 150 ლარის ჩარიცხვას;		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პროგრამით მოსარგებლე პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.		

ა.ე) იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა და ზოგიერთ სხვა დაავადებით შეპყრობილ პაციენტთა ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა და ზოგიერთ სხვა დაავადებით შეპყრობილ პაციენტთა ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 05		115.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	1.იშვიათი დაავადებებით შეპყრობილი ბენეფიციარები პროგრამაში ჩაირთვებიან, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული, „იშვიათი დაავადებების ნუსხაში“ მითითებული ჩამონათვალის გათვალისწინებით. 2. ზოგიერთ სხვა დაავადებებში ჩაითვალოს: პარკინსონის დაავადება, ლეიკემია, გაფანტული სკლეროზი, მოტონეორონთა დაავადება, სირინგომიელია, ცერებრული დამბლა, კუნთთა პროგრესიული დისტროფია, სისტემური წითელი მგლურა, რომლებიც სისტემატურად საჭიროებენ მედიკამენტოზურ მკურნალობასა და კლინიკო-ლაბორატორიულ კვლევებს.“ 3. ბენეფიციარმა სამედიცინო კლინიკიდან (ვიწრო სპეციალისტის დასკვნით) უნდა წარმოადგინოს დიაგნოზის დამადასტურებელი ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №100 ჩატარებული სპეციფიკური კვლევების მონაცემებისა და საჭირო მკურნალობის მითითებით. 4. პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური.		



მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნების ხელშეწყობა
----------------------------	--

ა.გ) აუტიზმის სპექტრის აშლილობის (ასა) მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მხარდაჭერა

პროგრამის დასახელება	კოდი	აუტიზმის სპექტრის აშლილობის (ასა) მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 06		14.00
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	1. პროგრამის ბენეფიციარები არიან (ბავშვთა აუტიზმი, ატიპური აუტიზმი, ასპერგერის სინდრომი და განვითარების დაუზუსტებელი ზოგადი აშლილობა) ასა-ს მქონე 2 დან 15 წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთა მშობლები წარმოადგენენ ნეიროგანვითარების ცენტრის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, „ბავშვთა განვითარების ინსტიტუტის“, რეგისტრირებული კავშირის „საქართველოს ბავშვები“, მენტალური ჯანმრთელობის ცენტრის და სხვა სპეციალიზირებული ლიცენზირებული დაწესებულებებიდან ბენეფიციარისთვის ჩასატარებელი ღონისძიებების შესაბამის ხარჯთაღრიცხვას, დიაგნოზის დამადასტურებელი ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №100-ს, ბენეფიციარის დაბადების მოწმობის ასლს და ერთერთი მშობლის პირადობის 2. ბენეფიციარზე წელიწადში ერთხელ გაიცემა საგარანტიო წერილი ჩასატარებელი ღონისძიებების ღირებულების 70%- ის ოდენობით დაფინანსებაზე, მაგრამ არაუმეტეს 2000 ლარისა, რომელიც დაფინანსდება მომსახურების მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემდეგ.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პროგრამით მოსარგებლე პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.		

ა.ზ) 0-18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური კვლევების დაფინანსება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	0-18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური კვლევების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 07		15.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	0-18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბოლათორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევების (კარდიოლოგიური, ნევროლოგიური, სომატური, ჰემატოლოგიური, ბიოქიმიური, სეროლოგიური, იმუნოლოგიური, ციტოლოგიური, მორფოლოგიური, ციტოგენეტიკური) ღირებულების დაფინანსება არაუმეტეს 700 ლარისა.		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მუნიციპალიტეტის 0-18 წლამდე ასაკის ბავშვებში ავდმყოფი კონტიგენტის გამოვლენა.		

ა.თ) ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე ბენეფიკართა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერის ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე ბენეფიკართა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერის ქვეპროგრამა.	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 08		15.00
ქვეპროგრამის			



განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ბენეფიციარები არიან 0-18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებიც ჩართულები არიან აბილიტაცია/რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში და შესაბამისი მომსახურების მისაღებად სისტემატიურად უწყევთ გადაადგილება სხვა ქალაქში. პროგრამა ითვალისწინებს თითოეულ ბენეფიციარზე (მშობელთან ერთად) ერთ მგზავრობაზე 15 ლარით დაფინანსებას, რომელიც წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მოხდება თვეში ერთხელ. პროგრამული დაფინანსება განხორციელდება ბენეფიციარის, ან მისი მშობლის პირად ანგარიშზე უნაღლო ანგარიშშროებით თანხის ჩარიცხვით.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	აღნიშნულ სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა შესაბამის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

ა.ი)საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მშენებლობა და რეაბილიტაცია

ა.კ) ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 10		140.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ემსახურება სხვადასხვა დარღვევების მქონე ბენეფიციარებს (R62.0- განვითარების ეტაპების დაყოვნება, F80.9- დაუზუსტებელი მეტყველების განვითარების აშლილობანი, F84.0- ბავშვთა აუტიზმი, F84.1- ატიპიური აუტიზმი, F84.2- რეტინის სინდრომი, F84.3- ბავშვთა სხვა დეზინტეგრაციული აშლილობა, F84.4- ჰიპერაქტიული აშლილობა თანმხლები გონებრივი ჩამორჩენილობით და სტერეოტიპული მოძრაობებით, F84.5- ასპერგერის სინდრომი, F84.8- განვითარების სხვა ზოგადი აშლილობანი, F84.9- განვითარების ზოგადი აშლილობა, დაუზუსტებელი) უზრუნველყოფს მათ თერაპიულ მომსახურებას. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ ბენეფიციართა საჭიროებაზე მორგებულ კომპლექსურ სწავლებას: ქცევის თერაპიას,მეტყველების თერაპიას, აკადემიურ უნარებს, სუპერვიზიას და ბენეფიციართა ყოველთვიურ გადაფასებას. საჭიროების შემთხვევაში ბავშვის ან მშობლის ფსიქოლოგიურ დახმარებას. ბავშვის ფიზიკური და ინტელექტუალური ფუნქციური პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზებას, ზოგადი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და ინკლუზიური პროცესის ხელშეწყობას.		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პროგრამით მოსარგებლე პირების დახმარება, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.		

ა.ლ) ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პირების სამედიცინო კვლევების დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პირების სამედიცინო კვლევების დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 11		50.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ბენეფიციარები არიან ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პირები,რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის აუცილებლობიდან გამომდინარე განხორციელდება ონკოლოგიური მიმართულებით მარადალტექნოლოგიური სამედიცინო კვლევის დაფინანსება/თანადაფინანსებას, კალენდარული წლის განმავლობაში არა უმეტეს 500 ლარისა.		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პროგრამით მოსარგებლე პირების დახმარება, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.		



ა.მ) მხედველობის მკვეთრად გამოხატული შშმ (უსინათლო) პირთა ფინანსური მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მხედველობის მკვეთრად გამოხატული შშმ (უსინათლო) პირთა ფინანსური მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 12		25.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ მხედველობის მკვეთრად გამოხატული (უსინათლო) შშმ პირები. პროგრამა ითვალისწინებს თითოეულ ბენეფიციარზე ყოველთვიურად, უნაღდო ანგარიშსწორებით , 100 ლარის ჩარიცხვას (აუცილებლობის შემთხვევაში დახმარება შეიძლება ჩაერიცხოს ბენეფიციარის კანონიერ წარმომადგენელს ან მხარდამჭერს)		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პროგრამით მოსარგებლე პირების დახმარება, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.		

ა.ნ) 0-18 წლამდე ასაკის, დიაბეტით დაავადებული ბავშვიანი ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	0-18 წლამდე ასაკის, დიაბეტით დაავადებული ბავშვიანი ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 13		15.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამით მოსარგებლეები არიან 0-18 წლამდე დიაბეტით დაავადებული ბენეფიციარები. პროგრამა ითვალისწინებს თითოეულ ბენეფიციარზე ყოველთვიურად, უნაღდო ანგარიშსწორებით, 100 ლარის ჩარიცხვას. (აუცილებლობის შემთხვევაში დახმარება შეიძლება ჩაერიცხოს ბენეფიციარის კანონიერ წარმომადგენელს ან მხარდამჭერს)		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პროგრამით მოსარგებლე პირების დახმარება, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.		

ბ) მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამის დასახელება	კოდი	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02		1,062.93
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სოციალური უზრუნველყოფის მიზნით		
	• მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარება • ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება • 3.საზიემო დადირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ფულადი ან არაფულადი (მატერიალური) დახმარება. • 4.მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვან შვილთა ყოველთვიური ფულადი დახმარება. • 5. შშმ პირთა და მოვლის საჭიროების მქონე ავადმყოფთა ფინანსური მხარდაჭერა • 6. დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური ფულადი დახმარება • 7.საომარი მოქმედებების და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა ოჯახების ფულადი დახმარება • ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხელშეწყობის პროგრამა		



	- ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური მხარდაჭერა - სტაციონარული მკურნალობის შემდგომ ბინაზე კომპატოზურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების ოჯახების ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარება. - ერთიან ეროვნულ გამოცდებში მაღალი აკადემიური წარმატების მქონე აბიტურიენტთა ფინანსური წახალისება. - სოციალურად დაუცველთა საცხოვრისით უზრუნველყოფა - პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფა - შშმ ბავშვთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა - უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი, მიუსაფარი, უსახლკაროდ დარჩენილი მარტოხელა შშმ პირებისთვის ქირით უზრუნველყოფის ფულადი დახმარება
მოსალოდნელი შედეგი	ბენეფიციარის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა

ბ.ა) მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარებები.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარებები	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01		100.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების მართვისა და ადმინისტრირების სოციალურ კომისია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	1.პროგრამა გათვლილია მოქალაქეებზე(ოჯახებზე), რომელთაც აქვთ მძიმე ყოფითი პრობლემები, რაც დადასტურებული უნდა იყოს ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოში ამავე ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის შუამდგომლობით. პროგრამა ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ ფულადი დახმარებას, არაუმეტეს 200 ლარისა, ადმინისტრაციული ერთეულებისათვის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტით დადგენილი თვიური ლიმიტის ფარგლებში. 2. შესაბამის დოკუმენტაციას მერის წარმომადგენლები განსახილველად, ყოველთვიურად წარადგენენ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების მართვისა და ადმინისტრირების სოციალურ კომისია“-ზე (შემდგომში „სოციალურ კომისია“). 3. იშვიათ შემთხვევაში 200 ლარზე მეტი ფულადი დახმარებისთვის მერის წარმომადგენელი დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართავს მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც ერთპიროვნულად ღებულობს გადაწყვეტილებას დახმარების გაწევაზე და თავად განსაზღვრავს გასაცემი თანხის ოდენობას ერთ ბენეფიციარზე არაუმეტეს 2 000 ლარისა. საჭიროების შემთხვევაში მერს უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.მუნიციპალიტეტის მერს წლის განმავლობაში შეუძლია განკარგოს აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული თანხის 25% თვიური ლიმიტის დაცვით.		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა		

ბ.ბ) ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02		40.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბიოლოგიური დედის რიგით პირველ და მეორე ცოცხლადშობილ შვილზე ერთჯერად ფულად დახმარებას 400 ლარის ოდენობით. ტყუპების შემთხვევაში 400 ლარით დაფინანსდება თითოეული ტყუპისცალი.		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ახალშობილთა ოჯახების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.		



ბ.გ) საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ფულადი ან არაფულადი (მატერიალური) დახმარება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ფულადი ან არაფულადი (მატერიალური) დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 03		49.20
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების მართვისა და ადმინისტრირების სოციალურ კომისია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით საზოგადოების ღვაწლმოსილი და დამსახურებული ადამიანების, აფხაზეთისა და 8 აგვისტოს საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულთა, ასევე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული საჯარო და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა ოჯახების და ა.შ. ერთჯერადი ფულადი ან /და მატერიალური დახმარების გაწევა.		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სადღესასწაულო დღეებში ბენეფიციარებისათვის საზეიმო განწყობის შექმნა, მათი ფინანსური და მორალური მხარდაჭერა.		

ბ.დ) მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვანთა ყოველთვიური ფულადი დახმარება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვანთა ყოველთვიური ფულადი დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 04		400.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამით სარგებლობა შეუძლიათ მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ ოთხი ან მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი. თითოეულ არასრულწლოვან შვილზე ყოველთვიურად გაიცემა ფულადი დახმარება 50 ლარის ოდენობით.		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება		

ბ.ე) შშმ პირთა და მოვლის საჭიროების მქონე ავადმყოფთა ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შშმ პირთა და მოვლის საჭიროების მქონე ავადმყოფთა ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 05		20.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამით სარგებლობა შეუძლიათ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, 100000-ზე დაბალი, სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებულ პირებს, რომლებიც არიან არასაპენსიო ასაკის შშმ პირები, აქვთ სტატუსი-“მკვეთრად გამოხატული”(1 ჯგუფი) და არიან ეტლით მოსარგებლე ან მწოლიარე და საჭიროებენ მეორე პირის დახმარებას და მუდმივ მომვლელს. დაფინანსება მოხდება ყოველთვიურად, თითოეული ბენეფიციარზე 100 ლარის ოდენობით, უნაღდო ანგარიშსწორებით, პირად ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით. პროგრამა გათვლილია 29 ბენეფიციარზე.		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	შშმ პირთა მორალური და ფინანსური მხარდაჭერა. შშმ პირთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება.		



ბ.ვ) დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური ფულადი დახმარება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური ფულადი დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 06		18.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ბენეფიციარები არიან 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვები. დაფინანსება მოხდება ყოველთვიურად, თითოეულ ბენეფიციარზე, 300 ლარის ოდენობით, უნაღდო ანგარიშსწორებით, მეურვის პირად ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოფითი პრობლემების მოგვარება..		

ბ.ზ) საომარი მოქმედებების და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა ოჯახების ფულადი დახმარება.

ბ.თ) ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხელშეწყობის პროგრამა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხელშეწყობის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 08		5.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების მართვისა და ადმინისტრირების სოციალურ კომისია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული შენობა- ნაგებობებიდან, მერიის მიერ მიზნობრივად გამოსახლებულ პირთა, დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა, კერძო სექტორში მათთვის საცხოვრებელი ფართის დაქირავებით (არაუმეტეს 200 ლარისა თვეში). დაფინანსება მოხდება ყოველთვიურად, უნაღდო ანგარიშსწორებით, თითოეული ბენეფიციარის პირად ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართა დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა.		

ბ.ი) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 09		6.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამით სარგებლობა შეუძლიათ მოქალაქეებს, რომლებიც არიან ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი. ბენეფიციარის დაფინანსება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ბენეფიციარის პირად ანგარიშზე წელიწადში ერთხელ 500 ლარის ჩარიცხვით.		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მიმართ ფინანსური ხელშეწყობა.		



ბ.კ) სტაციონარული მკურნალობის შემდგომ ბინაზე კომპიუტერულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების ოჯახების ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა.

ბ.ლ) 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეთა ერჯერადი ფულადი დახმარება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	100 წელს გადაცილებულ მოქალაქეთა ერჯერადი ფულადი დახმარება.	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 11		10.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამით ისარგებლებენ მოქალაქეები, რომლებიც შეუსრულდათ 100 წელი. მათ შესახებ ინფორმაციას წარმოადგენენ მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში, ან ბენეფიციართა ოჯახის წევრები განცხადების სახით. ბენეფიციარზე 100 წლის შესრულებისას ერთჯერადად გაიცემა 1000 ლარი, რომელიც უნაღდო ანგარიშწორებით ჩაერიცხება მის პირად ანგარიშზე.		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება		

ბ.მ) ერთიან ეროვნულ გამოცდებში მაღალი აკადემიური წარმატების მქონე აბიტურიენტთა ფინანსური წახალისება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ერთიან ეროვნულ გამოცდებში მაღალი აკადემიური წარმატების მქონე აბიტურიენტთა ფინანსური წახალისება	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 12		5.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	აბიტურიენტს, რომლებსაც ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული აქვთ 100%-იანი გრანტი სასწავლო წლის დაწყებისას ერთჯერადად გაეწევა ფინანსური დახმარება 1000 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხის უნაღდო ანგარიშწორებით ბენეფიციარის პირად ანგარიშზე ჩარიცხვით.		
	წარმოსადგენი დოკუმენტაცია: 1. ბენეფიციარის განცხადება 2. 100% გრანტის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი. 3. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. 4. პირადი საბანკო ანგარიში.		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ხარისხიანი განათლების ხელშეწყობა, განათლების დონის ამაღლება წარჩინებულ სტუდენტთა დაჯილდოვებით.		

ბ.ნ) სოციალურად დაუცველთა საცხოვრისით უზრუნველყოფა

	კოდი	დაფინანსება
--	------	-------------



ქვეპროგრამის დასახელება		სოციალურად დაუცველთა საცხოვრისით უზრუნველყოფა	ათას ლარში
	06 02 13		188.73
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	1. ქვეპროგრამა გათვლილია უკიდურესად ღარიბი მოსახლეობისათვის, რომელთა საცხოვრებელი პირობები უმძიმესია, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ოჯახის წევრთა სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას და რომელთა საცხოვრისი არ ექვემდებარება რეაბილიტაციას. ქვეპროგრამა ითვალისწინებს შემუშავებული პროექტის მიხედვით ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობას (46 473 ლარის ფარგლებში). ქვეპროგრამა გათვლილია 3 ოჯახზე. 2. იმ შემთხვევაში, როდესაც საცხოვრისი ექვემდებარება რეაბილიტაციას და ოჯახის წევრებისათვის საცხოვრებლად საშიშროებას არ წარმოადგენს, ქვეპროგრამა ითვალისწინებს მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნას, კერძოდ ერთი ოთახისათვის შესაბამისი სარემონტო სამუშაოების ჩატარებას (10000 ლარის ფარგლებში). პროგრამა გათვლილია 3 ოჯახზე. 3. ამ ქვეპროგრამით სარგებლობა შეუძლიათ იმ ბენეფიციარებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000-ს და ოჯახის არცერთ წევრს არ გააჩნია სხვა საცხოვრისი.		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება და საცხოვრისით უზრუნველყოფა.		

ბ.ო) წალენჯიხის მუნიციპალიტეტში პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წალენჯიხის მუნიციპალიტეტში პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 14		180.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	1. ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში ტერიტორიაზე ფაქტობრივად მცხოვრები წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის დაქვემდებარებაში არსებული სკოლების პირველკლასელთა კვებისთვის საჭირო დღიური თანხის მიწოდებას მათთვის საბანკო ბარათების დარიგების საშუალებით, რომელთა გამოყენებასაც ისინი შეძლებენ მხოლოდ გარკვეულ კვების ობიექტებში და მარკეტებში. 2. ქვეპროგრამა გათვლილია 280 ბავშვზე და წელიწადში 180 დღიან სასწავლო პერიოდზე. ერთ ბავშვზე გამოყოფილი კვების თანხა განსაზღვრულია 4 ლარის ოდენით.		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პირველკლასელთა მშობლების ყოფითი პირობების ნაწილობრივ შემსუბუქება		

ბ.პ) შშმ ბავშვთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შშმ ბავშვთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 15		36.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
	1. პროგრამის ბენეფიციარები არიან წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფაქტობრივად მცხოვრები, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის დაქვემდებარებაში არსებული სკოლების მოსწავლეები, რომლებსაც აქვთ შშმ სტატუსი. 2. პროგრამაში ჩასართავად განცხადებასა და თანდართულ დოკუმენტაციას შშმ ბავშვის მშობელი ან სხვა კანონიერი		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	წარმომადგენელი წარადგენს მუნიციპალიტეტის მერის სახელზე.		
	3. წარმოსადგენილ დოკუმენტაცია: ა) ბავშვის დაბადების მოწმობა და ცნობა შესაბამისი სკოლიდან; ბ) შშმ სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი; გ) ერთერთი მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი (კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად); 4. პროგრამა გათვლილია 35 ბავშვზე, წელიწადში 180 დღიან სასწავლო პერიოდზე, ერთ ბავშვზე გამოყოფილი კვების თანხა შეადგენს 6 ლარს.		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	შშმ ბავშვის ძირითად საჭიროებათა დაკმაყოფილება.		

ბ.ჟ) უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი, მიუსაფარი, უსახლკაროდ დარჩენილი მარტოხელა შშმ პირებისთვის ბინის ქირით უზრუნველყოფის ფულადი დახმარება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი, მიუსაფარი, უსახლკაროდ დარჩენილი მარტოხელა შშმ პირებისთვის ქირით უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 16		5.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების მართვისა და ადმინისტრირების სოციალურ კომისია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	წალენჯიხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უსახლკაროდ დარჩენილი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი, მარტოხელა, შშმ პირების ბინის ქირით უზრუნველყოფა წლის განმავლობაში, თვეში არაუმეტეს 200 ლარისა.		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციართა დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა.		

გ) სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა

პროგრამის დასახელება	კოდი	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	06 03		0.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	1. პროგრამა ითვალისწინებს სტიქიური მოვლენის (ხანძარი, ქარიშხალი, თოვლი) შედეგად დაზარალებული ოჯახების ფულად დახმარებას. პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ ბენეფიციარებს, რომლებსაც ნაწილობრივ დაუზიანდათ, ან სრულიად გაუნადგურდათ საცხოვრისი. (დამხმარე ნაგებობები და ქონებრივი ზარალი არ განიხილება). ასევე ქარიშხლის, ან თოვლის გამო დაუზიანდათ საცხოვრისის სახურავი.		
	2. ხანძრის შემთხვევაში დაზარალებულის დაფინანსება დაზიანებული ფართის მიხედვით პირობითად იყოფა ოთხ ჯგუფად:		
	2.1.	50 კვადრატულ მეტრამდე - არაუმეტეს 5000 ლარისა,	
	2.2.	100 კვადრატულ მეტრამდე -არაუმეტეს 10000 ლარისა.	
	2.3.	150 კვადრატულ მეტრამდე- არაუმეტეს 15000 ლარისა	
2.4.	200 კვადრატულ მეტრამდე- არაუმეტეს 20000 ლარისა.		



	3. იმ შემთხვევაში, როდესაც სტიქიის შედეგად (ქარიშხალი, თოვლი) საცხოვრებელი სახლის მხოლოდ სახურავია ძლიერ დაზიანებული (რაც ქმნის საცხოვრისის შემდგომ დაზიანების საშიშროებას) დაზიანებული ფართის მიხედვით ითვალისწინებს თანხის გამოყოფას კვადრატულ მეტრზე 15 ლარის ოდენობით, არაუმეტეს 2000 ლარისა. (ამ პუნქტით განიხილება მხოლოდ ის ბენეფიციარები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს)
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარება

დ) სარიტუალო მომსახურება

დ.ა) ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯი

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯი	დაფინანსება ათას ლარში
	06 04 01		5.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს: ა) გარდაცვლილი დიდი სამამულო ომის მონაწილეების, მასთან გათანაბრებული პირების, ტერიტორიული მთლიანობისათვის მეზრძოლ ვეტერანთა ოჯახებისთვის სარიტუალო ხარჯების 250 ლარის ოდენობით დაფინანსებას. ბ) გარდაცვლილ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებისთვის 200 ლარით დაფინანსებას		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	გარდაცვლილ ვეტერანთა და დევნილთა ოჯახებისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარება.		

დ.ბ) უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯი

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯი	დაფინანსება ათას ლარში
	06 04 02		3.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. წალენჯიხის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო ხარჯების ანაზღაურების უზრუნველყოფას		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უპატრონო მიცვალებულთა პატივგება.		

ე) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა

პროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	06 05		432.00



პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „წალენჯიხის სათნოების სახლი“
პროგრამის აღწერა და მიზანი	1. პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, იშვიათი გამოწვევის გარდა, ბენეფიციარი უნდა იყოს რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და სარეიტინგო ქულა არ უნდა აღემატებოდეს 120 000-ს. 2. ბენეფიციართა შერჩევისას სოციალურად დაუცველთა თანაბარი სარეიტინგო ქულის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება: ა) საპენსიო ასაკს; ბ) ოჯახის შრომისუნარი წევრ(ებ)ის(შემ პირი) ყოლას; გ) დედ-მამით ობოლ ბავშვებს; დ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული ოჯახების წევრებს; ე) გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრებს; ვ) იშვიათი გამოწვევის (სოციალურ სააგენტოში არ უფიქსირდება სარეიტინგო ქულა ან 120 000 ქულაზე მეტია) შემთხვევაში, „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამის“ განმახორციელებელი ა(ა)იპ „წალენჯიხის სათნოების სახლის“ დირექტორი გადაწყვეტს მოქალაქის ბენეფიციარად დარეგისტრირებას, მერიის წარმომადგენლის (შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში) წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე; ზ) ამ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კატეგორიის ბენეფიციართა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ პროგრამით მოსარგებლეთა საერთო რაოდენობის 10%-ს.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისის მიწოდება

ვ) ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით ფულადი დახმარება.

პროგრამის დასახელება	კოდი	ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით ფულადი დახმარება.	დაფინანსება ათას ლარში
	06 06		35.80
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფა. პროგრამა ფინანსდება საქართველოს მთავრობის განკარგულებით მიღებულ თანხით. იმ ოჯახებისთვის, რომლებიც არ არიან დარეგისტრირებულნი ბუნებრივი აირის აბონენტებად, თითოეულ ოჯახზე 200 ლარი.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საოკუპაციო საზღვრისა პირას მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება		

ზ) ა(ა)იპ „კეთილი სამართელი“-2014 თანადაფინანსება.

თ) ვეტერანთა საბჭოს ხელშეწყობა

	კოდი	დაფინანსება ათას ლარში
--	------	------------------------



პროგრამის დასახელება		ვეტერანთა საბჭოს ხელშეწყობა	
	06 08		10.56
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირი აქტიურ მონაწილეობას იღებს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შესაძლებლობის ფარგლებში ზრუნავს ომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა კანონიერი უფლებების ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისა და სხვა პრობლემების გადაჭრელად. • კონსულტაციის გაწევა ვეტერანთა მოწმობის გამოცვლის პროცედურების და სათანადო საბუთების მოძიებაში. • შშმ ვეტერანთა სოციალური მდგომარეობის შესწავლა, ეკონომიკური და ფინანსური პრობლემების გადაჭრის მიზნით ერთჯერადი ფინანსური დახმარების მიზნით წინადადებების წარდგენა მერიაში. • სისტემატური კავშირი ვეტერანთა საკითხებზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. • უპატრონო ვეტერანთა სასაფლაოების მოძიება და მათი მოვლა-პატრონობის ღონისძიებების დაგეგმვა და წარდგენა მერიის შესაბამის სტრუქტურებთან.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა კანონიერი უფლებების დაცვა, ახალგაზრდობისთვის პატრიოტული სულისკვეთების ამაღლება.		

ი) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის უზრუნველყოფა

პროგრამის დასახელება	კოდი	ქალისა და მამაკაცის თანასწორობის უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	06 09		5.00
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ძალადობის მსხვერპლი და/ან რისკ-ჯგუფის ქალების, მარტოხელა და/ან ქვრივი მშობლების (როგორც ქალის ისე მამაკაცის), განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების,ახალგაზრდების. სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების, შშმ პირების, მარტოხელა და ზრუნვის პოლიტიკის საჭიროების მქონე ხანდაზმულების მდგომარეობის შესწავლა და ამ საჭიროებებზე მორგებული საბიუჯეტო წინადადებების შემუშავება და დანერგვა. პროგრამა ითვალისწინებს ცნობიერების ჩამოყალიბებას, ინფორმირებას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის კანონმდებლობაზე, ბავშვთა უფლებების დაცვაზე, ღონისძიებების დაგეგმვას თანასწორობის პოლიტიკაში არსებული გამოწვევების საპასუხოდ, სენსიტიური ჯგუფების ინტერესების გათვალისწინებას საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე (დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების), უწყებათაშორისი კომისიასთან თანამშრომლობით ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის, ბავშვთა უფლებების დაცვის მხარდაჭერას ადგილობრივი რესურსებით.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა სრული და ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველყოფა.		

კ) მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფა

პროგრამის დასახელება	კოდი	მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	06 10		70.40
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური		
	წალენჯიხის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ტრანსპორტის სერვისი არ არის განვითარებული, მუნიციპალიტეტის მწირი საბიუჯეტო რესურსების პირობებში არ აქვს შესაძლებლობა შეიძინოს ავტობუსები, შექმნას		



პროგრამის აღწერა და მიზანი	სატრანსპორტო კომპანია და შესაბამისი მომსახურება დამოუკიდებლად გაუწიოს მოსახლეობას. პრობლემის გადაჭრის ალტერნატივა იმ სატრანსპორტო საშუალებების მფლობელების სუბსიდირებაა, რომლებიც დამოუკიდებლად ახორციელებენ მგზავრთა გადაყვანას. მუნიციპალიტეტი ასუბსიდირებს მუყავას (ერისწყალი), ფახულანის (წყოშვი), ჩქვალერის, ჯგალის (სქური), ოზუჯი, მიქავა, ზღვია, ულურია - წალენჯიხა. ჯვარი - ოჭანე - ეწერი - წალენჯიხა. ჭალე - წალენჯიხის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრებ პირთა ტრანსპორტის სერვისით უზრუნველყოფას. სუბსიდიის გამოყოფილ მიზანია გაიზარდოს ზემოაღნიშნულ მიმართულებებზე სამარშრუტო საშუალებების მოძრაობის ინტენსივობა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ბენეფიციართათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება

მუხლი 16. გარემოს დაცვა

გარემოს დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია, პრიორიტეტის დასაფინანსებლად განისაზღვროს 2,032.00 ათასი ლარი. გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პრიორიტეტი	დასახელება	2026 გეგმა	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი	2029 წელი პროგნოზი
03 00	გარემოს დაცვა	2,032.00	2,080.00	2,140.00	2,390.00
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1,717.00	1,730.00	1,750.00	1,900.00
03 01 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა ქ. წალენჯიხის ტერიტორიაზე	974.00	980.00	1,000.00	1,100.00
03 01 02	დასუფთავება და ნარჩენების გატანა ქ. ჯვარის ტერიტორიაზე	743.00	750.00	750.00	800.00
03 02	ჩამდინარე წყლების მართვა	162.00	165.00	185.00	245.00
03 02 01	ჩამდინარე წყლების მართვის სისტემის მოწყობა	-	-	-	-
03 02 02	ჩამდინარე წყლების მართვის სისტემების ექსპლუატაცია	162.00	165.00	185.00	245.00
03 02 02 01	ჩამდინარე წყლების მართვის სისტემის ექსპლოატაცია ქ. წალენჯიხაში	124.00	125.00	140.00	190.00
03 02 02 02	ჩამდინარე წყლების მართვის სისტემის ექსპლოატაცია ქ. ჯვარში	38.00	40.00	45.00	55.00
03 03	გამწვანების ღონისძიებები	128.00	145.00	145.00	175.00
03 03 01	გამწვანების ღონისძიებები ქ. წალენჯიხაში	113.00	120.00	120.00	130.00
03 03 02	გამწვანების ღონისძიებები ქ. ჯვარში	15.00	25.00	25.00	45.00
03 04	უპატრონო ცხოველების ოპერირება	25.00	40.00	60.00	70.00
03 04 01	უპატრონო ცხოველების ოპერირება ქ. წალენჯიხაში	15.00	25.00	45.00	50.00
03 04 02	უპატრონო ცხოველების ოპერირება ქ. ჯვარში	10.00	15.00	15.00	20.00



ა) დასუფთავება და ნარჩენების გატანა

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	დაფინანსება ათას ლარში
	03 01		1,717.00
პროგრამის აღწერა და მიზანი	წალენჯიხის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. შეძენილია ნაგავმზიდი მანქანები და ნაგვის ურნები. ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება ნაგვის გადაზიდვის მანქანები ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთლიან ტერიტორიაზე. შეგროვებული ნარჩენები გადის ნაგავსაყრელებზე. პროგრამის ფარგლებში დაფინანსება ეხება ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის (მეზოოვები, მძღოლები, ზედამხედველები და სხვა) ხელფასებს.		
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ნარჩენების გატანა. იქნება ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემო.		

ა.ა) დასუფთავება და ნარჩენების გატანა ქ.წალენჯიხის ტერიტორიაზე

ქვეპროგრამის	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა ქ.წალენჯიხის ტერიტორიაზე	დაფინანსება ათას ლარში
დასახელება	03 01 01		974.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. წალენჯიხის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა გულისხმობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქ.წალენჯიხის და 7 ადმინისტრაციულ ერთეულში დასუფთავების უზრუნველყოფას რაც თავის მხრივ მოიცავს ქუჩებისა და ქალაქის ტერიტორიის დახვეტას, ქალაქის მწვანე საფარის, სანაპირო ზოლის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, ასევე სანაგვე კონტეინერების გარეცხვას. ა(ა)იპ-ში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 108 ადამიანს, რომელიც ყოველდღიურად ზრუნავენ 120500კვ/მ ფართობის მოვლაზე, ქალაქს ემსახურება 2 ნაგავმზიდი მანქანა, რომელსაც ყოველდღიურად გააქვს ნარჩენები ნაგავსაყრელზე (ქ.ზუგდიდი) მიუხედავად აღნიშნულისა მუნიციპალიტეტში დარჩენილია ისეთი ადგილები რომლებიც დღეის მდგომარეობით ვერ სუფთავდება, რადგან არ არის შესაბამისი ტექნიკა და ნაგვის ურნები. ჩვენი მიზანია ნელ ნელა სრულად მიეწოდოს მოსახლეობას აღნიშნული სერვისი. პროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება ქალაქის ტერიტორიის თოვლის საფარისგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება და საჭიროების შემთხვევაში თოვლის მასის გატანა. პროგრამისთვის გამოყოფილი ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის" ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის (მეზოოვები, მძღოლები, ზედამხედველები და სხვა) ხელფასებს.		
მოსალოდნელი შედეგი	ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემო და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება.		

ა.ბ) დასუფთავება და ნარჩენების გატანა ქ.ჯვარის ტერიტორიაზე

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა ქ.ჯვარის ტერიტორიაზე	დაფინანსება ათას ლარში
	03 01 02		743.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ.ჯვარის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა გულისხმობს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. ჯვარის და 5 ადმინისტრაციულ ერთეულში დასუფთავების უზრუნველყოფას რაც თავის მხრივ მოიცავს ქუჩებისა და ქალაქის ტერიტორიის დახვეტას, ნაგვის ურნებში განთავსებას, სანაგვე კონტეინერების გარეცხვას, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოძრაობის აღკვეთა, ქალაქის ტერიტორიის თოვლის საფარისგან გაწმენდა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა. ყოველდღიურად მიმდინარეობს ტერიტორიების ა(ა)იპ-ში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 70. ასევე ინტენსიურად მიმდინარეობს სანიაღვრე არხების ამოწმენდა და სხვადასხვა სამუშაოები. ქ. ჯვარში და მიმდინარე თემებში საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე მუშაობს 2 ნაგავმზიდი მანქანა, რომელსაც ყოველდღიურად გააქვს ნარჩენები ნაგავსაყრელზე (ქ.ზუგდიდი)პროგრამისთვის გამოყოფილი ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. ჯვარის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის" ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის (მეზოოვები, მძღოლები, ზედამხედველები და სხვა) ხელფასებს.		



მოსალოდნელი შედეგი	ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემო და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება.
--------------------	--

ბ) ჩამდინარე წყლების მართვა

პროგრამის დასახელება	კოდი	ჩამდინარე წყლების მართვა	დაფინანსება ათას ლარში
	03 02		162.00
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკანალიზაციო სისტემის მომსახურება, მიწების შეკეთება-შეცვლა, ჭეხისა და საკანალიზაციო ქსელის გაწმენდა-გასუფთავება, სეპტიკებისა და საპირფარეშოების ამოწმენდა სპეცტექნიკით, არსებული ჭეხის რემონტი, ჭეხის თავსახურებისა და გარე ჩარჩოების შეცვლა, გამწმენდი ნაგებობების მომსახურება.		
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩამდინარე წყლების მართვის სისტემის გამართული ფუნქციონირება.		

ბ.ა) ჩამდინარე წყლების მართვის სისტემების ექსპლოატაცია.

ბ.ა.ა) ჩამდინარე წყლების მართვის სისტემის ექსპლოატაცია ქ. წალენჯიხაში

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჩამდინარე წყლების მართვის სისტემის ექსპლოატაცია ქ. წალენჯიხაში	დაფინანსება ათას ლარში
	03 02 02 01		124.00
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. წალენჯიხის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკანალიზაციო სისტემის მომსახურება, მიწების შეკეთება-შეცვლა, ჭეხისა და საკანალიზაციო ქსელის გაწმენდა-გასუფთავება, სეპტიკებისა და საპირფარეშოების ამოწმენდა სპეცტექნიკით, არსებული ჭეხის რემონტი, ჭეხის თავსახურებისა და გარე ჩარჩოების შეცვლა, გამწმენდი ნაგებობების მომსახურება.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩამდინარე წყლების მართვის სისტემის გამართული ფუნქიონირება.		

ბ.ა.ბ) ჩამდინარე წყლების მართვის სისტემის ექსპლოატაცია ქ. ჯვარში

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჩამდინარე წყლების მართვის სისტემის ექსპლოატაცია ქ. ჯვარში	დაფინანსება ათას ლარში
	03 02 02 02		38.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ.ჯვარის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. ჯვარის და 5 ადმინისტრაციულ ერთეულში საკანალიზაციო სისტემის მომსახურება, მიწების შეკეთება-შეცვლა, ჭეხისა და საკანალიზაციო ქსელის გაწმენდა-გასუფთავება, სეპტიკებისა და საპირფარეშოების ამოწმენდა სპეცტექნიკით, არსებული ჭეხის რემონტი, ჭეხის თავსახურებისა და გარე ჩარჩოების შეცვლა, გამწმენდი ნაგებობების მომსახურება.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკანალიზაციო სისტემის მომსახურების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩამდინარე წყლების მართვის სისტემის გამართული ფუნქციონირება.		



გ) გამწვანების ღონისძიებები

პროგრამის დასახელება	კოდი	გამწვანების ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	03 03		128.00
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების გამწვანება, ქუჩების გამწვანება. აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული გაზონების მრავალწლიანი მცენარეების დარგვა. მერიის შენობის წინ არსებულ სკვერში ყვავილების დარგვა, ნარგავების შეძენა, ნარგავების მოწყვეა, მინერალური სასუქების შეტანა. არსებულ დეკორაციების მოვლა, გათიბვა, ხელსაწყოების შეძენა, გასათიბი მექანიზმის შეძენა, შენახვა, ექსპლუატაცია და რემონტი. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 2 ქვეპროგრამა : 1. გამწვანების ღონისძიებები ქ.წალენჯიხის ტერიტორიაზე 2. გამწვანების ღონისძიებები ქ.ჯვარის ტერიტორიაზე		
მოსალოდნელი შედეგი	გამწვანებული და ეკოლოგიურად სუფთა გარემო		

გ.ა) გამწვანების ღონისძიებები ქ.წალენჯიხის ტერიტორიაზე

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გამწვანების ღონისძიებები ქ.წალენჯიხის ტერიტორიაზე	დაფინანსება ათას ლარში
	03 03 01		113.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. წალენჯიხის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქ.წალენჯიხის და 7 ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული პარკებისა და სკვერების გამწვანება, ქუჩების გამწვანება. აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული გაზონების მრავალწლიანი მცენარეების დარგვა. მერიის შენობის წინ არსებულ სკვერში ყვავილების დარგვა, ნარგავების შეძენა, ნარგავების მოწყვვა, მინერალური სასუქების შეტანა. არსებულ დეკორაციების მოვლა, გათიბვა, ხელსაწყოების შეძენა, გასათიბი მექანიზმის შეძენა, შენახვა, ექსპლუატაცია და რემონტი.		
მოსალოდნელი შედეგი	გამწვანებული და ეკოლოგიურად სუფთა გარემო		

გ.ბ) გამწვანების ღონისძიებები ქ.ჯვარის ტერიტორიაზე

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გამწვანების ღონისძიებები ქ.ჯვარის ტერიტორიაზე	დაფინანსება ათას ლარში
	03 03 02		15.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. ჯვარის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. ჯვარის და 5 ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული პარკებისა და სკვერების გამწვანება, ქუჩების გამწვანება. აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული გაზონების მრავალწლიანი მცენარეების დარგვა. სკვერში ყვავილების დარგვა, ნარგავების შეძენა, ნარგავების მორწყვა, მინერალური სასუქების შეტანა. არსებულ დეკორაციების მოვლა, გათიბვა, ხელსაწყოების შეძენა, გასათიბი მექანიზმის შეძენა, შენახვა, ექსპლუატაცია და რემონტი.		
მოსალოდნელი შედეგი	გამწვანებული და ეკოლოგიურად სუფთა გარემო		

დ) უპატრონო ცხოველების ოპერირება

	კოდი	დაფინანსება
--	------	-------------



პროგრამის დასახელება		უპატრონო ცხოველების ოპერირება	ათას ლარში
	03 04		25.00
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უპატრონო ცხოველების ოპერირებით, შევინარჩუნოთ მწვანე და ეკოლოგიურად სუფთა გარემო, მოვახდინოთ ინფექციური დაავადებების გავრცელების პრევენცია. აღნიშნულის მისაღწევად ხორციელდება: მსხვილფეხა და წვრილფეხა ცხოველების გაყვანა ქალაქის ცენტრალური ტერიტორიებიდან, უპატრონო ძაღლების გადაყვანა თავშესაფარში, გარდაცვლილი უპატრონო ცხოველების დამარხვა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 2 ქვეპროგრამა : 1. უპატრონო ცხოველების ოპერირება ქ.წალენჯიხის ტერიტორიაზე 2. უპატრონო ცხოველების ოპერირება ქ.ჯვარის ტერიტორიაზე.		
მოსალოდნელი შედეგი	ეკოლოგიურად სუფთა გარემო		

დ.ა) უპატრონო ცხოველების ოპერირება ქ.წალენჯიხის ტერიტორიაზე

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	უპატრონო ცხოველების ოპერირება ქ.წალენჯიხის ტერიტორიაზე	დაფინანსება ათას ლარში
	03 04 01		15.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. წალენჯიხის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქ.წალენჯიხის და 7 ადმინისტრაციულ ერთეულში უპატრონო ცხოველების ოპერირებით, შევინარჩუნოთ მწვანე და ეკოლოგიურად სუფთა გარემო, მოვახდინოთ ინფექციური დაავადებების გავრცელების პრევენცია. აღნიშნულის მისაღწევად ხორციელდება: მსხვილფეხა და წვრილფეხა ცხოველების გაყვანა ქალაქის ცენტრალური ტერიტორიებიდან, უპატრონო ძაღლების გადაყვანა თავშესაფარში, გარდაცვლილი უპატრონო ცხოველების დამარხვა.		
მოსალოდნელი შედეგი	უპატრონო ცხოველების ოპერირებით, შენარჩუნებულია ეკოლოგიურად სუფთა გარემო		

დ.ბ) უპატრონო ცხოველების ოპერირება ქ.ჯვარის ტერიტორიაზე

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	უპატრონო ცხოველების ოპერირება ქ.ჯვარის ტერიტორიაზე	დაფინანსება ათას ლარში
	03 04 02		10.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. ჯვარის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. ჯვარის და 5 ადმინისტრაციულ ერთეულში უპატრონო ცხოველების ოპერირებით, შევინარჩუნოთ მწვანე და ეკოლოგიურად სუფთა გარემო, მოვახდინოთ ინფექციური დაავადებების გავრცელების პრევენცია. უპატრონო ძაღლების გადაყვანა თავშესაფარში, გარდაცვლილი უპატრონო ცხოველების დამარხვა.		
მოსალოდნელი შედეგი	უპატრონო ცხოველების ოპერირებით, შენარჩუნებულია ეკოლოგიურად სუფთა გარემო		

მუხლი 17. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 5,480.72 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:



პრიორიტეტი	დასახელება	2026 გეგმა	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი	2029 წელი პროგნოზი
04 00	განათლება	5,480.72	4,710.00	4,810.00	5,110.00
04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	5,232.00	4,700.00	4,800.00	5,100.00
04 02	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს მშენებლობა და რეაბილიტაცია	0.60	-	-	-
04 03	საჯარო სკოლების დაფინანსება	52.43	10.00	10.00	10.00
04 04	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	162.90	-	-	-
04 05	საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება	32.79	-	-	-

ა) სკოლამდელი განათლების დაფინანსება

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	04 01		5,252.00
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	აღსაზრდელთა კეთილდღეობა, თანამედროვე სტანდარტებს მორგებული მეთოდოლოგია, ფიზიკური გარემოს მოწესრიგება, თანამედროვე დამოკიდებულებები ურთიერთობებში (ბავშვთან, მშობელთან, თანამშრომლებთან). საგანმანათლებლო პროცესის (აქტივობების) წარმართვა „სასკოლო მზაობის სახელმწიფო სტანდარტთან „ მიმართებაში, მშობელთა ჩართულობა, ინკლუზიური მიდგომები - ასეთი განათლების საჭიროების მქონე პირებისთვის, მართვისა და შეფასების პროცესის სწორად წარმართვა, აღსაზრდელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა, ინფრასტრუქტურის განვითარება.		
მოსალოდნელი შედეგი	სრულყოფილი სკოლამდელი განათლების თანმიმდევრული პოლიტიკის გატარება ბაღებში. ბაღების მომზადება ავტორიზაციისათვის. სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა ყველა ბავშვისთვის, მათი უსაფრთხოების დაცვა, ინფრასტრუქტურის განვითარება. სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი მომსახურების დანერგვა სკოლამდელ დაწესებულებებში.		

ბ) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია.

გ) საჯარო სკოლების დაფინანსება.

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	04 03		52.43
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებისთვის ფინანსური დახმარების გაწევა. აგრეთვე იმ ღონისძიებების მხარდაჭერა როგორიცაა: ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ზოგადი განათლების ღიაობა და თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველასთვის, ინკლუზიური სწავლების გაფართოება, მოსწავლეთა ზოგადი განათლების განვითარებაზე ორიენტირებული განსაკუთრებით საინტერესო პროექტების დაფინანსება; სკოლებისთვის სხვადასხვა თემატური და კალენდალური დღესადმი მიძღვნილი კონკურსების გამოცხადება. ასევე სახელმწიფოს მხარდაჭერით მუნიციპალიტეტისთვის რიგი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელება, როგორც არის ზამთრის პერიოდში სკოლებისთვის შეშის შესყიდვა.		



მოსალოდნელი შედეგი	ხარისხიანი განათლების მიწოდება.
--------------------	---------------------------------

დ) საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	04 04		162.90
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხით მუნიციპალიტეტში მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა. მიმწოდებელთან ხელშეკრულების დადება და მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამის შეუფერხებლად მიმდინარეობა.		
მოსალოდნელი შედეგი	განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა		

ე) საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მუხლი 18. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3,651.22 ათასი ლარი. პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პრიორიტეტი	დასახელება	2026 გეგმა	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი	2029 წელი პროგნოზი
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	3,651.22	2,780.00	3,120.00	3,480.00
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2,017.22	1,220.00	1,400.00	1,600.00
05 01 01	სპორტული ცენტრის დაფინანსება	646.00	610.00	700.00	800.00
05 01 02	ფეხბურთის განვითარების ცენტრი	681.00	610.00	700.00	800.00
05 01 04	სპორტული ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია	690.22	-	-	-



05 02	კულტური განვითარების ხელშეწყობა	1,489.00	1,420.00	1,570.00	1,720.00
05 02 01	კულტურის ცენტრის დაფინანსება	1,096.00	1,050.00	1,150.00	1,250.00
05 02 02	სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება	373.00	350.00	400.00	450.00
05 02 03	კულტურული ობიექტების მშენებლობა და რეაბილიტაცია	-	-	-	-
05 02 04	კულტურული მემკვიდრეობის, ძეგლების არქეოლოგიური კვლევა და მონიტორინგი	20.00	20.00	20.00	20.00
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	60.00	60.00	60.00	60.00
05 04	ახალგაზრდული პროგრამების ხელშეწყობა	85.00	80.00	90.00	100.00

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01		2,017.22
პროგრამის აღწერა და მიზანი	სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ–ტექნიკური ბაზის განვითარება, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, შეკრებებისა და მივლინებების განხორციელება, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება. ასევე, წარმატებული წალენჯიხელი სპორტსმენების წახალისება. სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა. სხვადასხვა ასაკის მოსახლეობაში, როგორც ქალბატონებში, ასევე, მამაკაცებში ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ ცნობიერების ამაღლება; მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია და მოზარდების, მ.შ. როგორც გოგონების, ასევე, ვაჟების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში;		
მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილია მასობრივ სპორტში მოსახლეობის ჩართულობა; უზრუნველყოფილია სპორტის ხელმისაწვდომობა როგორც ქალების, ასევე, მამაკაცებისათვის		

ა.ა) სპორტული ცენტრის დაფინანსება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ცენტრის დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		646.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე კომპლექსური სასპორტო საგანმანათლებლო საარზრდელი ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სასპორტო ცენტრი აერთიანებს 10 სპორტულ მიმართულებას, ესენია თავისუფალი ჭიდაობა 4 წრე (101– ბავშვი), კარატე 7 წრე (126–ბავშვი), ჯადრაკი 5 წრე (83 – ბავშვი), კალათბურთი 3 წრე (74– ბავშვი), რაგბი (28– ბავშვი) , მძლეოსნობა 2 წრე (75– ბავშვი) , კრივი (17–ბავშვი), ტაეკვანდო 2 წრე (56– ბავშვი), ფრებურთი (27 ბავშვი) სულ სასპორტო ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 608 ბავშვი, სასპორტო ცენტრში დასაქმებულია 49 კაცი, აქედან 20 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი, 27 მწვრთნელი.სასპორტო ცენტრი ასევე კურიერებს ფუტსალის გუნდს,სადაც თამაშობს 22 სპორტსმენი, პროგრამის მიზანია სპორტის განვითარება, მწვრთნელთა მივლინება გუნდებთან ერთად, ადმინისტრაციულ ერთეულებში რაიონულ, რეგიონალურ და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება „მასობრივი და სამოყვარულო სპორტული ღონისძიებების ორგანიზება, გამარჯვებულთა ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვება. სპორტული ობიექტებით, სპორტული ფორმითა და ინვენტარით უზრუნველყოფა, სპორტსმენთა ტრანსპორტით მომსახურება, სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება, ჯანსაღი მომავალი თაობის ჩამოყალიბება.		
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა. გაზრდილია მასობრივ სპორტში მოსახლეობის ჩართულობა; უზრუნველყოფილია სპორტის ხელმისაწვდომობა როგორც ქალების, ასევე, მამაკაცებისათვის.		



ა.ბ) ფეხბურთის განვითარების ცენტრი

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ფეხბურთის განვითარების ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		681.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრი-სპორტული კლუბი „სქური“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	აიპ წალენჯიხის ფეხბურთის ცენტრი-სპორტული კლუბი „სქურის“5 საშეჯიბრო გუნდები მიიღებს შემდეგ მომსახურებას: დაწესებული გრაფიკის შესაბამისად გუნდების კვირაში 3-4 წვრთნის პროცესი, სამედიცინო შემოწმება,სათამაშო ფორმებით უზრუნველყოფა, საფეხბურთო ინვენტარით უზრუნველყოფა,(ბურთები),საფეხბურთო მოედნების მომზადება,სასმელი და ცხელი წყლით(აბანოები) უზრუნველყოფა. გასვლით მატჩებზე ტრანსპორტირება,კვების ხარჯები(მივლინება).შედეგების მასობრიობა. არასაშეჯიბრო გუნდების გაწვრთნა დაწესებული პროგრამების შესაბამისად,როგორც საშეჯიბრო გუნდების რეზერვი. მოყვარულ ფეხბურთელთა ტურნირის ორგანიზება და დაფინანსება. მუნიციპალიტეტის პირველობა მინი ფეხბურთში,მისი ორგანიზება და დაფინანსება.		
მოსალოდნელი შედეგი	სპორტული სკოლების გამართული ფუნქციონირება, შეჯიბრებებსა და ტურნირებში მონაწილეობა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მეოთხე ლიგის კლუბ სქურის შემადგენლობის შევსება ადგილობრივი კადრებით.		

ა.გ) სპორტული ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 04		690.22
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სპორტული ობიექტების მშენებლობა და არსებული ობიექტების რეაბილიტაცია.		
მოსალოდნელი შედეგი	შენდება ახალი და შენარჩუნებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული.		

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02		1,489.00
პროგრამის აღწერა და მიზანი	კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, ასევე, სადღესასწაულო დღეებში ჩატარდება გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.		
მოსალოდნელი შედეგი	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ქართული ფოლკლორის შენარჩუნება.		

ბ.ა) კულტურის ცენტრის დაფინანსება



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ცენტრის დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		1,096.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ქართული ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობა, თანამშრომლობა ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებთან, შემოქმედებით კოლექტივებთან, ცალკეულ ხელოვანებთან, სხვადასხვა დარგის დამსახურებულ მოღვაწეებთან, კულტურულ ღონისძიებებს ჩატარება და მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობის უზრუნველყოფა სხვადასხვა ღონისძიებებსა და ფესტივალებში. სახვითი დეკორატიული-გამოყენებითი და ხალხური შემოქმედების ნაწარმოებების გამოფენის მოწყობა, ღირშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა, სახალხო დღესასწაულების აღსანიშნავი ღონისძიებების ჩატარება („გრანელობა“, „ტარასობა“ და სხვა). კულტურის ცენტრი უზრუნველყოფს ბიბლიოთეკების, მუზეუმების, კლუბების და კულტურის სახლების ფუნქციონირებას. ცენტრი, აგრეთვე, კოორდინაციას უწევს ტერენტი გრანელის სახელობის მუზეუმს, ეთნოგრაფიულ მუზეუმს, ლეო ქიჩელის მუზეუმს, აკადემიკოს ტარას კვარაცხელიას სახელობის მუზეუმს, აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახლ-მუზეუმს, რომლებშიც დაცულია მათი ცხოვრების ამსახველი ფოტომასალები და პირადი ნივთები. მუზეუმები სისტემატურად ღებულობენ დამთვალიერებლებს, მათ შორის უცხოელ ტურისტებსაც. მუზეუმებში ჩამოყალიბებულია ახალგაზრდა შემოქმედთა კლუბები, სადაც ტარდება საინტერესო კულტურული, სამეცნიერო და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებები.		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია საზოგადოების ფართო ფენებისათვის კულტურული ფასეულობებისა და ღირებულებების ხელმისაწვდომობა		

ბ.ბ) სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		373.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრში ორი განყოფილებაა გაერთიანებული: სახელოვნებო განყოფილება (სამუსიკო სკოლა ჯვარსა და წალენჯიხაში) და საგანმანათლებლო განყოფილება (მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი) ორივე განყოფილებაში სკოლის გარეშე განათლებას იღებს 512 მოსწავლე. ცენტრში დასაქმებულია რაოდენობა შეადგენს 38 თანამშრომელს(ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები). დაფინანსება 2026 წელის 373000 ლარი. საგანმანათლებლო განყოფილებაში ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები (ლიტერატურული, ხალხური სიმღერის, მათემატიკის, ქართული ენისა და ლიტერატურის , თექის, ხატვის, მხატვრული კითხვის, სამეჯლისო და სპორტული ცეკვების, ქორეოგრაფიის, ინგლისური ენის შემსწავლელი და ა.შ. განყოფილებთან არსებობს ფოლკლორული ანსამბლი "ლაკადა", ვოკალური ანსამბლი „ნოტები“ (პატარების ჯგუფი), ვოკალური ანსამბლი „ათინათი , ქორეოგრაფიული ანსამბლები: „მამული“ „ოდაბადე“ „მერაკი“ „იმედი“ , „სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრის მიზანია შემოქმედებითი უნარების მქონე მოსწავლეთა ხელშეწყობა, განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეთა წარმოჩენა, კულტურულ-შემეცნებითი, საქველმოქმედო ღონისძიებების, კონცერტების, ლიტერატურული საღამოების, გამოფენების (მხატვრობა, თეატრი) ჩატარება მუნიციპალიტეტში, ასევე მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებსა და, ფორუმებში, როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ასევე საზღვარგარეთ. წრეები მუშაობენ შეუფერხებლად ნორმალურ პირობებში. სოციალურად დაუცველი ოჯახების მოსწავლეები , რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70000–ს, ფინანსდებიან ცენტრის ბიუჯეტიდან.		
მოსალოდნელი შედეგი	სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა, ქართული კულტურის პოპულარიზაცია, ასევე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში.		

ბ.გ) კულტურული ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03		0.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური		



სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე კულტურული ობიექტების მშენებლობა და არსებული ობიექტების რეაბილიტაცია.
მოსალოდნელი შედეგი	შენარჩუნებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული ობიექტები

ბ.დ) კულტურული მემკვიდრეობის, ძეგლების არქეოლოგიური კვლევა და მონიტორინგი

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული მემკვიდრეობის, ძეგლების არქეოლოგიური კვლევა და მონიტორინგი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 04		20.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური - კულტურის, განათლებისა და ძეგლთა დაცვის განყოფილება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ძეგლებზე არქეოლოგიური გათხრების წარმოება, კონკრეტულად ჯგალის თემის ლესალეს არქიტექტურულ კომპლექსზე (ციხე-ქალაქი და ციხე). ასევე მუჟავას ადმინისტრაციულ ერთეულში, ჩვანარეს ხეობაში მდებარე ჯერ კიდევ შეუსწავლელი ძეგლის სადაზვერვო-არქეოლოგიური სამუშაოები.გეგმა ხორციელდება გერმანიის იენის და თბილისის უნივერსიტეტების ჩართულობით.		
მოსალოდნელი შედეგი	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვა.		

გ) რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა

პროგრამის	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
დასახელება	05 03		60.00
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ფორმდება მემორანდუმი მერიასა და ეპარქიას შორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია - მონასტრების მოვლა შენახვის ხარჯების დასაფინანსებლად. პროგრამა ემსახურება რელიგიური ორგანიზაციების ფინანსურ ხელშეწყობას და მათთვის თანადაფინანსების გაწევას. საკულტო-სარიტუალო შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციას, მშენებლობას. რელიგიური დღესასწაულების მოწყობას და პოპულარიზებას.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია - მონასტრების მოვლა შენახვის ღონისძიებები. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვა.		

დ) ახალგაზრდული პროგრამების ხელშეწყობა

პროგრამის	კოდი	ახალგაზრდული პროგრამების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
დასახელება	05 04		85.00
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია/კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური		
	პროგრამა მიზნად ისახავს ახალგაზრდებისთვის ცნობიერების ამაღლებას, მათი ცოდნის გაღრმავებას და ინფორმაციის მიწოდებას. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სტუდენტთა საზაფხულო დასაქმების პროგრამა "Summer Job" და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის სტუდენტებს, გეგმას ფარგლებში დაფინანსდებიან სტუდენტები თვეში 500 ლარის ოდენობით. სტუდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა აირჩიონ საკუთარი პროფესიის შესაბამისად სასურველი სფერო		



პროგრამის აღწერა და მიზანი	(მუნიციპალიტეტის მერია და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი ა(ა)იპ-ები). გეგმა "Summer Job" გამიზნულია იმისათვის, რომ სტუდენტმა შეძლოს კვალიფიკაციის ამაღლება და გამოცდილების მიღება იმ სფეროში, რომელშიც მომავალში სურს დასაქმდეს, აღნიშნული გეგმა მიზნად ისახავს ახალგაზრდების მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის მუშაობის პროცესში, რაც გაზრდის მათ ინტერესს და სურვილს სამომავლოდ მიღებული ცოდნა და შესაძლებლობა მოახმარონ ადგილობრივ, საკუთარ, მუნიციპალიტეტს. პროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდება სტუდენტური დღეები, სასკოლო სპორტული ოლიპიადა და სხვა ახალგაზრდული ღონისძიებები.
მოსალოდნელი შედეგი	წარმატებულად განხორციელებული ახალგაზრდული პროექტები. ახალგაზრდებისთვის მუშაობის სპეციფიკის გაცნობა, მათი დაინტერესება დაუბრუნდნენ და დაეხმარონ მშობლიურ ქალაქს წინსვლასა და წარმატების მიღწევაში.

მუხლი 19. ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა.

ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 85.00 ათასი ლარი. ეკონომიკური განვითარების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პრიორიტეტი	დასახელება	2026 გეგმა	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი	2029 წელი პროგნოზი
07 00	ეკონომიკური განვითარება	85.00	55.00	115.00	140.00
07 01	სასოფლო-სამეურნეო მიწის საკადასტრო აზომვითი სამუშაოები	10.00	10.00	20.00	25.00
07 02	სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა	5.00	5.00	20.00	25.00
07 03	მეწარმეთა საქმიანობის ხელშეწყობა	10.00	10.00	25.00	30.00
07 04	ტურიზმის ხელშეწყობა	60.00	30.00	50.00	60.00

ა) სასოფლო-სამეურნეო მიწის საკადასტრო აზომვითი სამუშაოები

პროგრამის დასახელება	კოდი	სასოფლო-სამეურნეო მიწის საკადასტრო აზომვითი სამუშაოები	დაფინანსება ათას ლარში
	07 01		10.00
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალური ქონების ეფექტურად მართვა და განკარგვა. პროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის დაგეგმარების შესაბამისად, არასასოფლო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების შემდგომი გამოყენებისთვის საკადასტრო ნახაზებისა და მათი ელექტრონული ვერსიების მომზადება, შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზების შედგენა, აღრიცხვაზე ასაყვანი ქონების შეფასება.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ქონების ეფექტური განკარგვა და შემოსავლების ზრდა მიწის საკუთრებიდან.		

ბ) სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
----------------------	------	---	------------------------



	07 02	5.00
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია	
პროგრამის აღწერა და მიზანი	სოფლის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სოფლად ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა, ეკონომიკური დივერსიფიკაცია, სოფლის მეურნეობის განვითარებისკენ მიმართული მიზნობრივი ღონისძიებები და სექტორში ინვესტიციების მოზიდვა.	
მოსალოდნელი შედეგი	ძლიერი სოფელი.	

გ) მეწარმეთა საქმიანობის ხელშეწყობა

პროგრამის დასახელება	კოდი	მეწარმეთა საქმიანობის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	07 03		10.00
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაცია, მეწარმეთა საქმიანობის დარეგლამა, ტექნიკური დახმარების გაწევა ვიდეო-ფოტო-ბუკლეტების დამზადება/შეცდებებში. ასევე იურიდიული კონსულტაციის გაწევა, რაც დაკავშირებულია გარკვეული თანადაფინანსების პროექტებზე რეგისტრაციასა თუ საგრანტო განაცხადების შევსებასთან). პატარა საგამოფენო სივრცეების შექმნა. მუნიციპალიტეტის საიტზე მეწარმეთა ხელშეწყობისთვის გვერდის დამატება. ადგილობრივ მეწარმეთა საგამოფენო სიმპოზიუმებზე წარგზავნის უზრუნველყოფა. ასევე მივლინებების ორგანიზება თბილისობაზე, „ექსპო ჯორჯიაზე“ და სხვადასხვა მსგავს ფორუმებზე.		
მოსალოდნელი შედეგი	მეწარმეებისთვის სამეწარმეო საქმიანობის გამარტივება		

დ) ტურიზმის ხელშეწყობა

პროგრამის დასახელება	კოდი	ტურიზმის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	07 04		60.00
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახური - ახალგაზრდულ საქმეთა, სპორტისა და ტურიზმის განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ტურიზმი ეკონომიკური ზრდის და განვითარების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს, რადგან მასზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის განვითარება. სწორედ ამ მიმართულებების გასაუმჯობესებლად და განსავითარებლად საჭიროა ფულადი სახსრების გამოყოფა, რათა მოხდეს ტურისტული პოტენციალის ამაღლება და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. ტურიზმში ჩართულია სხვადასხვა სეგმენტის, გემოვნების, საჭიროებების მქონე პირები, რომელთა დაკმაყოფილება უნდა მოხდეს მრავალფეროვანი ტურისტული შეთავაზებებით, ამისთვის მნიშვნელოვანია ტურიზმის რამოდენიმე სახეობების პოპულარიზება, რომელიც ყველაზე მეტად მოთხოვნილია. მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარება ფართო სპექტრს აძლევს დასაქმების შესაძლებლობებს, მათ შორის სოფლად მცხოვრებ პირებს, რომელთაც სხვა სამუშაო პერსპექტივები შეზღუდული აქვთ. მუნიციპალიტეტი მდიდარია ბუნების ასევე მატერიალური და არამატერიალური ძეგლებით, რომელიც მნახველებს დიდ შტაბეჭდილებებს უქმნის. მნიშვნელოვანია საინფორმაციო ტურიზმის მიმართულებით მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლება და ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება.		
მოსალოდნელი შედეგი	ცნობადობის ამაღლება ადგილობრივ და საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე		



მუხლი 20. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯი (პროგრამული კოდი 01 00)

პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორცაა მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: შრომის ანაზღაურება, საკონელი და მომსახურება და სხვა. ასევე, მოიცავს საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის პროგრამის ხარჯებს, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, სესხის მომსახურებას და ვალების დაფარვის ხარჯებს.

პრიორიტეტი	დასახელება	2026 წლის გეგმა	2026 წელი პროგნოზი	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯი	6,475.04	5,427.00	5,566.00	5,666.00
01 01	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	6,240.04	5,226.00	5,365.00	5,465.00
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,725.51	1,575.00	1,650.00	1,700.00
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	4,498.98	3,636.00	3,700.00	3,750.00
01 01 04	მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა პროფ. განვითარება	15.55	15.00	15.00	15.00
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	235.00	201.00	201.00	201.00
01 02 01	სარეზერვო ფონდი	200.00	200.00	200.00	200.00
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებები და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	1.00	1.00	1.00	1.00
01 02 03	მგფ-ისა და სხვა ვალდებულებების დაფარვა	34.00	-	-	-

ა) წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

პროგრამის დასახელება	კოდი	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	01 01		6,240.04
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს გამართულ ფუნქციონირებას, მუნიციპალიტეტის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას, მუნიციპალური ვალდებულებების მომსახურებას, საბიუჯეტო პროცესის განვითარებას.		
მოსალოდნელი შედეგი	მერიის მიერ მოსახლეობისათვის გაწეული სერვისების გაუმჯობესება, მომსახურების მიღების გამარტივება. საბიუჯეტო პროცესის დახვეწა.		

ა.ა) მუნიციპალიტეტის საკრებულო.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის საკრებულო	დაფინანსება ათას ლარში
	01 01 01		1,725.51
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო		
	ქვეპროგრამა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამართულ ფუნქციონირებას, მუნიციპალიტეტის		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას, მუნიციპალური ვალდებულებების მომსახურებას, საბიუჯეტო პროცესის განვითარებას.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საკრებულოს მიერ მოსახლეობისათვის გაწეული სერვისების გაუმჯობესება.

ა.ბ) მუნიციპალიტეტის მერია

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის მერია	დაფინანსება ათას ლარში
	01 01 02		4,498.98
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის გამართულ ფუნქციონირებას, მუნიციპალიტეტის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას, მუნიციპალური ვალდებულებების მომსახურებას, საბიუჯეტო პროცესის განვითარებას.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მერიის მიერ მოსახლეობისათვის გაწეული სერვისების გაუმჯობესება.		

ა.გ) მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის საჯრო მოხელეთა პროფესიული განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	01 01 04		15.55
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 101-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის № 319 დადგენილების შესაბამისად განისაზვრა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემა, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებები და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპები და წესი, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტი საჯარო მოხელეებისთვის დაკისრებული მოვალეობების ეფექტიანად შესრულების ხელშეწყობის, მათი შესაძლებლობების გამოვლენის, პოტენციური სირთულეების იდენტიფიცირებისა და მოგვარების სტრატეგიების დაგეგმვის მიზნით უზრუნველყოფს კვალიფიკაციის ამაღლების მოქნილი სისტემის ჩამოყალიბებას. პროგრამით განსაზღვრულია მუნიციპალიტეტში დასაქმებული საჯარო მოხელეების გადამზადება სხვადასხვა სფეროებში. მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება, შესაბამისი ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავება- გამომუშავება, მათთვის დაკისრებული მოვალეობების ეფექტიანად შესრულების ხელშეწყობის მიზნით. ასევე ქვეპროგრამიდან ხდება „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია“-სთან დადებული მემორანდუმის ფარგლებში აღებული ვალდებულებების დაფინანსება, მემორანდუმით გათვალისწინებულია საჯარო მოხელეთათვის პერიოდულად ტრენინგებისა და სემინარების ჩატარება.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	დანერგილია საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარების უწყვეტი სისტემა		

ბ) საერთო დანიშნულების ხარჯები.



ბ.ა) სარეზერვო ფონდი.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სარეზერვო ფონდი	დაფინანსება ათას ლარში
	01 02 01		200.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაუთვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების მიზნით შექმნილი სარეზერვო ფონდი. სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტში შექმნილ გაუთვალისწინებელ მოვლენებზე სწრაფი რეაგირება		

ბ.ბ) წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებები და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა

ბ.გ) მ.გ.ფ - სა და მუნიციპალიტეტის სხვა ვალდებულებების დაფარვა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მ.გ.ფ - სა და მუნიციპალიტეტის სხვა ვალდებულებების დაფარვა	დაფინანსება ათას ლარში
	01 02 03		34.00
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სასესხო ვალდებულებების დადგენილ ვადებში დაფარვა		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შემცირებულია არსებული სასესხო ვალდებულებები		

თავი III

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 21.

განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით:

ორგ. კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა		
				სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	28,926.2	31,410.0	25,633.3	4,156.5	21,476.7



	მომუშავეთა რიცხოვნობა	145.0	144.0	144.0	0.0	144.0
	ხარჯები	17,586.9	20,071.1	20,496.8	646.6	19,850.2
	შრომის ანაზღაურება	3,010.8	3,581.1	4,800.5	0.0	4,800.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	11,092.9	11,196.4	5,107.7	3,509.9	1,597.9
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	246.4	142.6	28.7	0.0	28.7
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯი	4,499.0	5,253.3	6,475.0	0.0	6,475.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	145.0	144.0	144.0	0.0	144.0
	ხარჯები	4,137.1	4,955.2	6,189.1	0.0	6,189.1
